ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2020 წლის 7 თებერვალი

ქ. ზესტაფონი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილი „ა“ პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-25 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 მარტის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 12.03.2020წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულება, დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №13 დადგენილება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (სსმ ვებგვერდი: 14/03/2018წ., სარეგისტრაციო კოდი: 010260010.35.127.016286).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **თეიმურაზ საყვარელიძე**
მოვალეობის შემსრულებელი

დანართი №1

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ,,განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის“ პირველადი სტრუქტურული ერთეული (შემდგომში – სამსახური).

2. სამსახური თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის ნორმების, საქართველოს „სამოქალაქო კოდექსის“, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ სხვა საკანონმდებლო აქტების, წინამდებარე დებულების, საკრებულოს და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი აქტების საფუძველზე დადგენილი წესით.

3. სამსახურის იურიდიული მისამართია: ქალაქი ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა №11.

4. (ამოღებულია - 09.03.2020, №20).

5. სამსახურს აქვს დადგენილი ფორმის ბეჭედი სამსახურის სახელწოდების აღნიშვნით და შესაბამისი რეკვიზიტებით.

6. სამსახური შედგება პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისაგან (შემდგომში – სამსახურის უფროსი) და პროფესიული საჯარო მოხელეებისაგან (შემდგომში – მოხელე).

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 მარტის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 12.03.2020წ.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის პრინციპებია:

1) მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

2) კანონის წინაშე თანასწორობა;

3) საქმიანობა კანონმდებლობის საფუძველზე;

4) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონმდებლობის საფუძველზე;

5) საქმიანობის განხორციელება საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეწონასწორებით;

6) მიუკერძოებლობა;

7) საქვეყნოობა და საჯაროობა.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის განვითარების და ახალგაზრდულ საქმეთა მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და განხორციელების უზრუნველყოფას;

ბ) მასობრივი სპორტის ხელშეწყობას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის ღონისძიებების გატარებას;

გ) ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებისა და განვითარების ხელშეწყობას;

დ) წინადადებების ჩამოყალიბებას ახალგაზრდობის საკითხებზე;

ე) კულტურულ ღონისძიებათა დაგეგმვას, ორგანიზებას და ჩატარების კოორდინაციას;

ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მოვლა-შენახვის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის შესახებ წინადადებებისა და მოსაზრებების მომზადებას;

ზ) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ააიპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და ახალი ობიექტების მშენებლობისათვის წინადადებების წამოყენებას;

თ) ტურიზმის განვითარების პერსპექტიული გეგმის შემუშავებას და მისი განხორციელების ხელშეწყობას;

ი) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და მერის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებას.

მუხლი 4. სამსახურის უფლება-მოვალეობანი

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის „განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური“ ახორციელებს:

ა) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მონიტორინგის; მათი სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის რეკომენდაციების, წინადადებებისა და დასკვნების შემუშავებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით;

ბ) უზრუნველყოფს კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას და ღონისძიებების ჩატარების კოორდინაციას;

გ) ტურიზმის განვითარების, მასობრივი სპორტის ხელშეწყობას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის ღონისძიებების გატარებას სპორტსა და ტურიზმში. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სპორტული ინფრასტრუქტურის ობიექტების მართვა, მათი რეაბილიტაცია. საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, ფედერაციებთან და სპორტის სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობას. ტურიზმის სფეროში მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას. მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელებას. ტურისტული პოტენციალის კვლევის, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას. ახალგაზრდებში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას;

დ) ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობას. ახალგაზრდების ინტერესების დაცვას, ახალგაზრდულ ბავშვთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, პროექტების შემუშავებას და განხორციელებას. მოზარდებისა და ახალგაზრდების თავისუფალი დროის ორგანიზებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობას. ახალგაზრდა შემოქმედთა ჯგუფებთან ურთიერთობას. ახალგაზრდული ღონისძიებების, დღეების თამაშობების ორგანიზებას. თემატური გუნდებისგან შემდგარი ახალგაზრდული პარლამენტის ორგანიზებას. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას და განვითარების ხელშეწყობას;

ე) წინადადებების შემუშავებას ახალგაზრდობის საკითხებზე;

ვ) ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-განვითარებას. ამ სფეროში შემავალ დაწესებულებებში თავმოყრილი ეროვნული სიმდიდრის დაცვას, გამოჩენილი პიროვნებების ხსოვნის უკვდავყოფას. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრებისა და ისტორიული ძეგლების აღნუსხვას, შესწავლას, მოვლა-პატრონობასა და სარესტავრაციო სამუშაოებზე კონტროლს;

ზ) ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის შესახებ წინადადებებისა და მოსაზრებების მომზადებას;

თ) ახორციელებს მისი კომპეტენციის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული დაწესებულებების კოორდინირებული ფუნქციონირების უზრუნველყოფას და მათ საქმიანობაზე კონტროლს;

ი) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და მერის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებას.

2. სამსახურს ხელმძღვანელობს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (შემდგომში- სამსახურის უფროსი), რომელიც:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურისთვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) უნაწილებს ფუნქციებს სამსახურის მოხელეებს;

გ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ორგანიზებისა დაგეგმვის წესებს, ფორმებსა და მეთოდებს, სამსახურის მოხელეთა თანამდებობრივ მოვალეობებს;

დ) პასუხისმგებელია სამსახურის მოხელეთა წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, შვებულების, სამსახურებრივი მივლინების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;

ე) მერს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ვ) მერს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ;

ზ) ანგარიშვალდებულია მერის წინაშე;

თ) მერის დებულების შესაბამისად, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ი) სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე.

მუხლი 5. სპორტისა და ტურიზმის განყოფილების ფუნქციები

სპორტისა და ტურიზმის განყოფილების ფუნქციებია:

ა) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სასპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების მართვა, მათი რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების მომზადება, დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია;

ბ) სპორტის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამებისა და გეგმების შემუშავებასა და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

გ) სპორტის განვითარების მიზნით საინვესტიციო წინადადებების მომზადება და პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;

დ) საზღვარგარეთისა და საქართველოს ქალაქებთან, მათ შორის, დაძმობილებულ ქალაქებთან სპორტული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა;

ე) მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღებისა და სპორტის განვითარების მიზნით პროგრამების შემუშავება;

ვ) საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, ფედერაციებთან და სპორტის სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ზ) საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა;

თ) სპორტის სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით წინადადებების მომზადება და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

ი) სპორტის სფეროში მოღვაწე პირების საპატიო წოდებების მინიჭებისა და მათი დაჯილდოებაზე წარდგენის მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და წარდგენა კანონით დადგენილი წესით;

კ) ზესტაფონის მუნიციპელიტეტში ტურიზმის განვითარების ძირითადი განმსაზღვრელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და მათ განხორციელებაზე ზრუნვა;

ლ) ტურიზმის სფეროში მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;

მ) ტურიზმის სფეროში მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია;

ნ) ტურიზმის სფეროს განვითარებისა და ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით

გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელება;

ო) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება;

პ) ტურისტული პოტენციალის კვლევის, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;

ჟ) ახალგაზრდული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

რ) ახალგაზრდების ინტერესების დაცვა. ახალგაზრდულ და ბავშვთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ერთობლივი პროექტების შემუშავება და განხორციელება. ახალგაზრდობის სფეროში პრიორიტეტული მიმართულებების ჩამოყალიბება, სახელმწიფო და ადგილობრივი ახალგაზრდული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

ს) მოზარდებისა და ახალგაზრდების თავისუფალი დროის ორგანიზებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობა;

ტ) ახალგაზრდა შემოქმედთა ჯგუფებთან ურთიერთობა და მათი საქმიანობისათვის ხელშეწყობა;

უ) მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებების, ახალგაზრდული დღეების, თამაშობების ორგანიზება;

ფ) სამხედრო პატრიოტულ-აღმზრდელობით ღონისძიებების და წვევამდელთა გამწვევი კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება, კანონით დადგენილი წესით;

ქ) ახალგაზრდებში ტურიზმის განვითარებას ხელშეწყობა;

ღ) თემატური გუნდებისაგან შემდგარი ახალგაზრდული პარლამენტის ორგანიზება. შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისა და ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის აუცილებელი პროექტების შემუშავება, ან წარმოდგენილ პროექტებში მონაწილეობის მიღება;

ყ) განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და განვითარების ხელშეწყობა;

შ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესწავლა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვა.

მუხლი 6. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის „განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის“ სტრუქტურაში არსებული თანამდებობები

ამ დებულების შესაბამისად სამსახურის საშტატო ნუსხით სამსახურის შემადგენლობაში დგინდება შემდეგი თანამდებობები:

ა) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი სამსახურის უფროსი – I რანგი (მაღალი მართველობითი დონე);

ბ) მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის განყოფილების უფროსი – II რანგი, II კატეგორია (საშუალო მმართველობითი დონე);

გ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ტურიზიმის განვითარებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში – III რანგი, II კატეგორია;

დ) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და განათლების საკითხებში – III რანგი, III კატეგორია;

ე) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტის საკითხებში – III რანგი, III კატეგორია.

მუხლი 6. სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე

1. სამსახურის მოხელის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად და ამ დებულებით.

2. სამსახურის მოხელეს უფლება აქვს:

ა) გააჩნდეს შესაბამისი სამუშაო პირობები, ისარგებლოს მერიის საოფისე ინვენტარითა და ტექნიკით;

ბ) თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია მერიის ხელმძღვანელობისაგან, სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან;
გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იმოქმედოს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით მიიღოს გადაწყვეტილება, მონაწილეობდეს თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის გადაწყვეტილებების მომზადებაში და დაცული იყოს აღმასრულებელი პრივილეგიით;

დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ზეპირად ან მოხსენებითი ბარათით მიმართოს ზემდგომ თანამდებობის პირს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში წარუდგინოს მას შესაბამისი წინადადებები;

ე) მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში მოითხოვოს სამსახურებრივი დაწინაურება;

ვ) დადგენილი წესით ისარგებლოს შვებულებით პროფესიული განვითარებისათვის;

ზ) მიიღოს თანამდებობრივი სარგო და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატები;

თ) აინაზღაუროს სამსახურებრივი მივლინების ხარჯები;

ი) ისარგებლოს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით 24 სამუშაო დღის ოდენობით;

კ) ისარგებლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებებით.

3. სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე მოვალეა:

ა) საქმიანობა წარმართოს მოქმედი კანონმდებლობის, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ბ) შეასრულოს შესაბამისი დებულებითა განსაზღვრული სამსახურებრივი ფუნქციები;

გ) დაიცვას მერიის შინაგანაწესი;

დ) შეასრულოს ზემდგომი თანამდებობის პირის დავალებები;

ე) შეასრულოს სამუშაო გეგმებით გათვალისწინებული სამუშაოები;

ვ) გაუფრთხილდეს სამსახურისთვის გადაცემულ ქონებას, არ დაუშვას მისი არადანიშნულებით გამოყენება;

ზ) შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა მოვალეობები.

მუხლი 7. სამსახურის საქმიანობის კონტროლი

სამსახურის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 8. სხვა დებულებები

წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება საკრებულოს დადგენილებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.